ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲗᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 48-Ე ᲬᲚᲘ | № 58 (14054) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 10 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1968 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲞ.

ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲒᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ 1968 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲜ 9 ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ. ᲨᲠᲝᲛᲐᲢᲔᲕᲐᲓ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ — 86 ᲣᲒᲐᲜᲖᲔ, ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲛᲝᲜ 32 ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ, 393 ᲛᲐᲦᲚᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲓᲝᲛᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲘ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲮᲘ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ 1.000 ᲛᲣᲨᲐᲡ.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ — 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ ᲜᲔᲠᲒᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ 1968 ᲬᲚᲘᲡ, ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲜ „ᲤᲠᲘᲐᲓᲘ“ ᲓᲐ „ᲙᲐᲠᲒᲘ“ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ. 1967 ᲬᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ 8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲐᲓᲘᲓᲝᲜ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ, 6 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲝᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, მიიღეს დეკლარაცია მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის შესახებ, რომელიც ვიეტნამში ამერიკის აგრესიის გაფართოებამ გამოიწვია.

თათბირის მონაწილენი, ხაზგასმულია დოკუმენტში, აღნიშნავენ, რომ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის გაფართოების შედეგად ამჟამად საყოველთაო მშვიდობას სერიოზული საფრთხე შეექმნა.

მჭიდროდ დასახლებული ცენტრების, მათ შორის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ჰანოისა და ჰაიფონის ნავსადგურის დაბომბვის გაძლიერება, ამერიკის ჯარების ახალი რიცხობრივი ზრდა სამხრეთ ვიეტნამში, საომარი მოქმედების გაფართოება ვიეტნამის მეზობელი სახელმწიფოების — ლაოსისა და კამბოჯის წინააღმდეგ — ყოველივე ეს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომის გაფართოების ამერიკული პოლიტიკის ახალი, კიდევ უფრო საშიში საფეხურია, ნათქვამია დეკლარაციაში.

ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე უგუნურად იმუქრება, რომ ვიეტნამში გამოიყენებს ატომურ იარაღს, რაც ახალი გამოვლინებაა შანტაჟისა და ზემოქმედების აგრესიული პოლიტიკისა, აბუზად აგდებაა ხალხებისა, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან.

საზღვარი არა აქვს ამერიკელ აგრესორთა დანაშაულს, როცა ცდილობენ გატეხონ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობა, ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში. თათბირის მონაწილენი გადაჭრით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის ბარბაროსულ მოქმედებას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მშვიდობისა და კაცობრიობის წინაშე დამნაშავენი ვერსად ეგუენენ სამართლიან შურისგებას.

ვერსად წაუვლენ პასუხისმგებლობას ის მთავრობანიც, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობენ აგრესიაში და ყველა ბოროტმოქმედებაში, რასაც სჩადიან გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ეს შეეხება ტაილანდს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, ფილიპინებს, სამხრეთ-კორეელ მარიონეტს, რომლებმაც ჯარები გაგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ინტერესებისათვის ავაზაკურ ომში მონაწილეობის მისაღებად. ეს შეეხება სხვა სახელმწიფოებსაც, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეაქციულ რევანშისტულ წრეებს, რომლებიც პოლიტიკურად და მატერიალურად ეხმარებიან ამერიკელ აგრესორებს.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს ვიეტნამში ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ფართო შეტევითი ოპერაციები და ხაზი გაუსვეს, რომ სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ წარმატებით განახორციელონ საბრძოლო ოპერაციები არა მარტო ჯუნგლებსა და სოფლის რაიონებში, არამედ ქალაქებშიც, ამასთან ყველაზე დიდ ქალაქებში, მათ შორის საიგონში. განთავისუფლების ძალების შეტევამ სამხრეთვიეტნამელი ხალხის აქტიური მხარდაჭერით ძირფესვიანად შეარყია ამერიკა-საიგონის სამხედრო სისტემა, ნათქვამია დეკლარაციაში.

ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების სამართლიანი საფუძველია, ნათქვამია დეკლარაციაში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცნობილი ოთხპუნქტიანი პოზიცია და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამა, რომლებსაც სავსებით უჭერენ მხარს სოციალისტური ქვეყნები და ფართოდ იწონებს მსოფლიო საზოგადოებრიობა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ჯარები ვიეტნამში შეიყვანეს აგრესიის მიზნით, მათ უნდა შეწყვიტონ ომი, გაიყვანონ თავიანთი, აგრეთვე მოკავშირეთა ჯარები ვიეტნამიდან.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება, როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატები დაამტკიცებენ, რომ ნამდვილად ყოველგვარი პირობის წამოუყენებლად შეწყვიტეს დაბომბვა და სხვა საომარი აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციას, მთელი სერიოზულობით აფრთხილებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც კისრულობს მთელი კაცობრიობის წინაშე, როცა აგრძელებს და აფართოებს აგრესიულ ომს ვიეტნამში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოზიციებს, ისინი მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ, საბოლოოდ და ყოველგვარი პირობის დაუთქმელად შეწყვიტონ დაბომბვა და სხვა საომარი აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, შეწყვიტონ საომარი ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში, გაიყვანონ თავიანთი, აგრეთვე მოკავშირეებისა და სატელიტების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, პატივი სცენ ვიეტნამელი ხალხის უფლებას თვითონ წყვეტდეს თავის საქმეებს. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოს, მთავრობას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის ინტერესები, დაბეჯითებით მოითხოვონ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამში ყველა ფორმით და ყოველგვარი პირობის დაუთქმელად დაადგნენ ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის გზას.

დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა სოციალისტური ქვეყნების, მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ძალების მოქმედების ერთიანობა ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის ყოველმხრივ მხარდაჭერის საქმეში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ მომმე სოციალისტურ ქვეყანას — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამელ ხალხს კვლავაც მთლიანად დაუჭერენ მხარს და დაეხმარებიან ყველაფრით, მათ შორის ეკონომიურად და თავდაცვის საშუალებებით, ტექნიკითა და სპეციალისტებით. ეს დახმარება მანამდე გასტანს, სანამ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამელ ხალხს დასჭირდება იმპერიალისტური თავდასხმის ძლევამოსილად მოგერიებისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კვლავ აცხადებენ, რომ თუ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სთხოვს, მზად არიან მოხალისენი გაგზავნონ ვიეტნამში.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ თათბირი

ᲡᲝᲤᲘᲐ, 8 მარტი. (საკუთრ.). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი მოქმედება, რომელიც ცდილობენ იარაღის ძალით ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ ვიეტნამში, ხელი შეუშალონ სოციალიზმის მშენებლობას ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს ნათქვამია ქალაქ სოფიაში 6-7 მარტს გამართული კომიტეტის თათბირის მიერ მიღებულ კომუნიკეში.

თათბირის მონაწილეებმა, აღნიშნულია კომუნიკეში, ყოველმხრივ განიხილეს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის შემდგომი გაძლიერების შედეგად შექმნილი მდგომარეობა და მისი გავლენა საერთაშორისო ვითარებაზე. მათ აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გახანგრძობს ომის მასშტაბის გაფართოების ავანტიურისტულ კურსს, უარს ამბობს შეწყვიტოს დაბომბვა და სხვა აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და, ამრიგად, დაბრკოლებას უქმნის მოლაპარაკების პირობების შექმნას, რათა პოლიტიკურად მოწესრიგდეს ვიეტნამის პრობლემა. თათბირის მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის შესახებ, რომელიც ვიეტნამში ამერიკის აგრესიის გაფართოებამ გამოიწვია.

თათბირზე გაიმართა აზრთა გაზიარება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემის შესახებ. თათბირის მონაწილენი, ხაზგასმულია კომუნიკეში, ხელმძღვანელობენ იმ პოზიციით, რომელიც კოლექტიურად შეიმუშავეს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ვარშავისა და ბუქარესტის თათბირებმა, და აღასტურებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილებას და ამ პრობლემის გადაჭრას. მათ განიხილეს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც შეიმუშავეს მოლაპარაკებისა და დისკუსიების დროს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში, და გამოთქვეს თავიანთი შესაბამისი პოზიციები ამ საკითხზე.

თათბირი მიმდინარეობდა გულახდილ, ამხანაგურ ვითარებაში.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ თათბირა

7 მარტს სოფიაში მუშაობას განაგრძობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

დილის ხხდომა მიმდინარეობდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლაე ჩაუშესკუს თავმჯდომარეობით.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. განხილულ საკითხებზე თათბირმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

ამით ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა მუშაობა დაამთავრა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სრული ერთსულოვნებით აუალიბებენ თავიანთ შემდეგ პოზიციას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხზე.

ხელმძღვანელობენ რა სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკით საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, აღნიშნულ ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების ამოცანა გადაუდებელია და აქტუალური მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხის გადაჭრა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების დადება უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის გამალებული შეიარაღების, განსაკუთრებით ატომური შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებისათვის შემდგომ ბრძოლაში. ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა ამ მიზნების განხორციელებისათვის.

დასახელებულ სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა 1968 წლის 18 იანვარს განიარაღების საკითხთა 18 სახელმწიფოს კომიტეტის განსახილველად და რომელიც მოლაპარაკების სხვადასხვა ეტაპზე ბევრი სახელმწიფოს სერიოზული კონსულტაციების საგანი იყო, შეესაბამება აღნიშნულ ამოცანას. ისინი აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ამ პროექტს, მოითხოვენ, რომ მოლაპარაკება დამთავრდეს 18 სახელმწიფოს კომიტეტში დადგენილ ვადაში (1968 წლის 15 მარტს), რომ შემუშავებული პროექტი მოიწონოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, დაიდოს და ძალაში შევიდეს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

დასახელებული სახელმწიფოები გამოთქვამენ იმედს, რომ უკვლა ქვეყანა შეიტანს თავის წვლილს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში და ამით — საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებაში.

სოფია, 1968 წლის 7 მარტი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 8 მარტს სოფიიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. ვ. რუსაკოვი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი. (საკუთრ.).

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲗᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 8 მარტი. (საკუთრ.). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, მიიღეს დეკლარაცია მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის შესახებ, რომელიც ვიეტნამში ამერიკის აგრესიის გაფართოებამ გამოიწვია.

თათბირის მონაწილენი, ხაზგასმულია დოკუმენტში, აღნიშნავენ, რომ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის გაფართოების შედეგად ამჟამად საყოველთაო მშვიდობას სერიოზული საფრთხე შეექმნა.

მჭიდროდ დასახლებული ცენტრების, მათ შორის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ჰანოისა და ჰაიფონის ნავსადგურის დაბომბვის გაძლიერება, ამერიკის ჯარების ახალი რიცხობრივი ზრდა სამხრეთ ვიეტნამში, საომარი მოქმედების გაფართოება ვიეტნამის მეზობელი სახელმწიფოების — ლაოსისა და კამბოჯის წინააღმდეგ — ყოველივე ეს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომის გაფართოების ამერიკული პოლიტიკის ახალი, კიდევ უფრო საშიში საფეხურია, ნათქვამია დეკლარაციაში.

ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე უგუნურად იმუქრება, რომ ვიეტნამში გამოიყენებს ატომურ იარაღს, რაც ახალი გამოვლინებაა შანტაჟისა და ზემოქმედების აგრესიული პოლიტიკისა, აბუზად აგდებაა ხალხებისა, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან.

საზღვარი არა აქვს ამერიკელ აგრესორთა დანაშაულს, როცა ცდილობენ გატეხონ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობა, ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში. თათბირის მონაწილენი გადაჭრით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის ბარბაროსულ მოქმედებას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მშვიდობისა და კაცობრიობის წინაშე დამნაშავენი ვერსად ეგუენენ სამართლიან შურისგებას.

ვერსად წაუვლენ პასუხისმგებლობას ის მთავრობანიც, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობენ აგრესიაში და ყველა ბოროტმოქმედებაში, რასაც სჩადიან გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ეს შეეხება ტაილანდს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, ფილიპინებს, სამხრეთ-კორეელ მარიონეტს, რომლებმაც ჯარები გაგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ინტერესებისათვის ავაზაკურ ომში მონაწილეობის მისაღებად. ეს შეეხება სხვა სახელმწიფოებსაც, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეაქციულ რევანშისტულ წრეებს, რომლებიც პოლიტიკურად და მატერიალურად ეხმარებიან ამერიკელ აგრესორებს.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს ვიეტნამში ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ფართო შეტევითი ოპერაციები და ხაზი გაუსვეს, რომ სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ წარმატებით განახორციელონ საბრძოლო ოპერაციები არა მარტო ჯუნგლებსა და სოფლის რაიონებში, არამედ ქალაქებშიც, ამასთან ყველაზე დიდ ქალაქებში, მათ შორის საიგონში. განთავისუფლების ძალების შეტევამ სამხრეთვიეტნამელი ხალხის აქტიური მხარდაჭერით ძირფესვიანად შეარყია ამერიკა-საიგონის სამხედრო სისტემა, ნათქვამია დეკლარაციაში.

ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების სამართლიანი საფუძველია, ნათქვამია დეკლარაციაში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცნობილი ოთხპუნქტიანი პოზიცია და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამა, რომლებსაც სავსებით უჭერენ მხარს სოციალისტური ქვეყნები და ფართოდ იწონებს მსოფლიო საზოგადოებრიობა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ჯარები ვიეტნამში შეიყვანეს აგრესიის მიზნით, მათ უნდა შეწყვიტონ ომი, გაიყვანონ თავიანთი, აგრეთვე მოკავშირეთა ჯარები ვიეტნამიდან.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება, როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატები დაამტკიცებენ, რომ ნამდვილად ყოველგვარი პირობის წამოუყენებლად შეწყვიტეს დაბომბვა და სხვა საომარი აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციას, მთელი სერიოზულობით აფრთხილებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც კისრულობს მთელი კაცობრიობის წინაშე, როცა აგრძელებს და აფართოებს აგრესიულ ომს ვიეტნამში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოზიციებს, ისინი მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ, საბოლოოდ და ყოველგვარი პირობის დაუთქმელად შეწყვიტონ დაბომბვა და სხვა საომარი აქტები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, შეწყვიტონ საომარი ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში, გაიყვანონ თავიანთი, აგრეთვე მოკავშირეებისა და სატელიტების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, პატივი სცენ ვიეტნამელი ხალხის უფლებას თვითონ წყვეტდეს თავის საქმეებს. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოს, მთავრობას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის ინტერესები, დაბეჯითებით მოითხოვონ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამში ყველა ფორმით და ყოველგვარი პირობის დაუთქმელად დაადგნენ ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის გზას.

დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა სოციალისტური ქვეყნების, მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ძალების მოქმედების ერთიანობა ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის ყოველმხრივ მხარდაჭერის საქმეში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ მომმე სოციალისტურ ქვეყანას — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამელ ხალხს კვლავაც მთლიანად დაუჭერენ მხარს და დაეხმარებიან ყველაფრით, მათ შორის ეკონომიურად და თავდაცვის საშუალებებით, ტექნიკითა და სპეციალისტებით. ეს დახმარება მანამდე გასტანს, სანამ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამელ ხალხს დასჭირდება იმპერიალისტური თავდასხმის ძლევამოსილად მოგერიებისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კვლავ აცხადებენ, რომ თუ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სთხოვს, მზად არიან მოხალისენი გაგზავნონ ვიეტნამში.

8 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲔᲡ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ვადამდე და დროულად შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ფართოდ ჩაბმულია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მთელი კოლექტივი. ფეიქრებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი. მათ არც წელს შეურცხვენიათ თავი. ვადაზე ადრე, გადა

მკითხველის მუშაკები აჯამეგენ შედეგებს

1966-1967 სასწავლო წლის შედეგებსა და ამოცანებს, რომლებიც რესპუბლიკის განათლების მუშაკთა წინაშე დგას სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, აგრეთვე საქართველოს მასწავლებელთა მომავალ ყრილობასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აქტივის მონაწილენი, რომელიც 7 მარტს გაიმართა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის მიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

აქტივის თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

მოხსენება „1966-1967 სასწავლო წლის შედეგები და საქართველოს განათლების მუშაკთა ამოცანები მიმდინარე სასწავლო წელს“ გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ უ. ობოლაძემ. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში შესამჩნევი წარმატებანია მიღწეული სკოლის მუშობაში.

უ. ობოლაძემ შეკრებილთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მასწავლებელთა მუშობა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, გაუმჯობესდეს მასწავლებელთა გადამზადების სისტემა. განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ სკოლებიდან მოსწავლეთა განთავსების სრული ღიკვიდაციისათვის და შეგრძნობთ შესაბამისი პირობები, რომ შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დირექტივები საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ.

განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი თავის გამოსვლაში შეეხო იმ საკითხებს, თუ როგორ ემზადებიან განათლების მუშაკები საქართველოს მასწავლებელთა ყრილობისათვის, რომელიც 16-17 მაისს გაიმართება თბილისში. მან ილაპარაკა აგრეთვე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებზე.

კამათში გამოვიდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე თ. ეგაძე, აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ა. ჯანუა, წულუკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე კ. შარტავა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი გ. ფოფხაძე, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე გ. ძაგოევი.

აქტივის მუშობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე დ. ლაშქარაძე.

(საკდესი).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ხიფნები

„კომუნისტს“ უპასუხებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

გალში სამშობიარო სახლის ცუდ მდგომარეობას ეხებოდა წერილი, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილის გამო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლ. ძაგთარაძემ რედაქციას შეატყობინა:

ჩვენ მიერ ადგილზე საკითხის შესწავლისას გაზეთ „კომუნისტის“ სტატიაში „ხიზნებში“ მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ როგორც აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრთან პირად საუბარში გაირკვა, გალის რაიონის სამშობიარო სახლი უახლოეს ხანში დროებით გადაყვანილ იქნება სხვა შენობაში, ხოლო მიმდინარე ხუთწლედში აშენდება ახალი სამშობიარო სახლი.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

„კომუნისტს“ უპასუხებს კარტიის ზესტაფონის რაიკომი

სამუშაოდან არასწორად განთავისუფლებაზე წერდა მოქალაქე უ. ხარაიშვილი ზესტაფონიდან გამოგზავნილ განცხადებაში. საჩივარი რედაქციამ გადაუგზავნა პარტიის ზესტაფონის რაიკომს. რაიკომიდან გვაცნობინებენ: სოფელ როდინოულში მცხოვრებ უ. ხარაიშვილის განცხადებაში აღნიშნული ფაქტების შესამოწმებლად პარტიის რაიკომის მიერ შეიქმნა კომისია ზესტაფონის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. შემოწმებით როდინოულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გამოვლენილა ზოგიერთი სიბნის დარღვევები და ნაკლოვანებები, რის შესახებაც ამსჯელა რაიკომის ბიურომ და მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღო საჭირო კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ, როდინოულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე ა. შუბენიერაძე სამუშაოდან მოიხსნა. მეურნეობის ყოფილ დირექტორს ს. ბიბილაშვილს, რომელიც ამჟამად სამუშაოდან გათავისუფლებულია, მეურნეობაში მუშაობის პერიოდში დაშვებული დარღვევებისა და სხვა ნაკლოვანებებისათვის მიეთითა. ბიურომ მეურნეობის დირექციას წინადადება მისცა ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს მეურნეობის მთავარ ბუღალტერს და სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე გამოიყენოს უ. ხარაიშვილი.

„კომუნისტს“ უპასუხებს კარტიის საჩხერის რაიკომი

სოფელ ჭალის კოლმეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა მამხილებელი წერილი, რომელიც რედაქციამ პარტიის საჩხერის რაიკომს გადაუგზავნა. ამ სიგნალის შემოწმების შედეგებზე პარტიის საჩხერის რაიკომი გვწერს:

განცხადებაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით ძირითადად დადასტურდა.

საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის ბიურომ იმსჯელა მამხილებელი განცხადების შემოწმების შედეგებზე და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ი. **ცუხიშვილს** მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომებისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური. ამასთან დაისახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ხიფნები

„კომუნისტს“ უპასუხებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

გალში სამშობიარო სახლის ცუდ მდგომარეობას ეხებოდა წერილი, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილის გამო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლ. ძაგთარაძემ რედაქციას შეატყობინა:

ჩვენ მიერ ადგილზე საკითხის შესწავლისას გაზეთ „კომუნისტის“ სტატიაში „ხიზნებში“ მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ როგორც აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრთან პირად საუბარში გაირკვა, გალის რაიონის სამშობიარო სახლი უახლოეს ხანში დროებით გადაყვანილ იქნება სხვა შენობაში, ხოლო მიმდინარე ხუთწლედში აშენდება ახალი სამშობიარო სახლი.

„ჟამი“ ეროვნული

საერთაშორისო ხელოვნება

კომუნისტთა მისწრაფება ერთიანობისათვის

ვარშავა

„კომუნისტთა ერთობა“ — ასეთი სათაურით გაზეთმა „ტრიბუნა ლუდუმ“ გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„კომუნისტური და მუშათა პარტიების ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ წარმატებით დამთავრდება კომუნისტური მოძრაობის ახალი საერთაშორისო თათბირი სოციალიზმისა და დემოკრატიის ყველა ძალების შეკავშირებისათვის ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ამაო აღმოჩნდა ვარაუდი, რომ შეხვედრა ჩაიფუშებოდა და სპეციალიები სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების თითქოსდა საწინააღმდეგო პოზიციების შესახებ, რომლითაც ბურჟუაზიული პროპაგანდა კვებავდა საზოგადოებრივ აზრს. ისინი გაამთელა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის სწრაფვამ, რაც ცხადყო შეხვედრის ყველა მონაწილემ.

მონტევიდეო

ურუგვაის კომუნისტებს გულითა და სულით ახარებს საკონსულტაციო შეხვედრის წარმატება, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ მიმდინარე წლის დამლევს გაიმართოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი, წერს გაზეთი „პოპულარი“.

ურუგვაის კომუნისტები არა თუ დადებითად აფასებენ ბუდაპეშტის შეხვედრის შედეგებს, რომელიც სახავს ახალ ეტაპს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, არამედ მიაჩნიათ, რომ ამ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებანი ეფექტიან გავლენას მოახდენს კომუნისტური და მუშათა პარტიების იმ ახალი თათბირის მუშაობაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

„პოპულარი“ აღნიშნავს, რომ ბუდაპეშტის შეხვედრის ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა. თათბირის მონაწილეთა წერილი ვიეტნამელი ხალხისადმი მოწმობს კომუნისტთა სოლიდარობას ამ ქვეყნის ბრძოლასთან და ნიშნავს, რომ ვიეტნამისადმი სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დახმარება გაიზრდება, სანამ ამერიკელ აგრესორებს განდევნიდნენ ვიეტნამის მიწა-წყლიდან.

ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრა კიდევ ერთი ბრწყინვალე მიღწევაა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა შეკავშირების გაძლიერების გზაზე. (საკდესი).

სამხედრო დანაშაულები უნდა დაისჯონ

ნიუ-იორკი, 9 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიმართა თხოვნით შემდეგი სხვისისათვის მომზადოს მოხსენება იმ პირთა დასჯის შესაძლო ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც პასუხს აგებენ სამხედრო დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის.

გუშინ კომისიის მიერ მიღებულ რეზოლუციაში სამხედრო დანაშაულთა და იმ პირთა დასჯის საკითხზე, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, აგრეთვე აღნიშნულია, რომ კომისიამ გადაწყვიტა უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს ამ საკითხს შემდეგ სხვისზე მისი განხილვის დროს.

„ოქროს ციებ-ცხელობა“ გრძელდება

მარტის პირველი კვირა აღინიშნა „ოქროს ახალი ციებ-ცხელებით“ ლონდონისა და პარიზის, ბრიუსელისა და ციურიხის ბირჟებზე.

სპეკულაციური აფეთქება ოქროს გარშემო რამდენიმე მიზეზით აიხსნება. პირველი რიგში, სულ უფრო მეტყველი ხდება კაპიტალისტური სამყაროს ორი წამყვანი ვალუტის — ამერიკული დოლარისა და ინგლისური გირვანქა სტერლინგის მდგომარეობა. გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შემდეგ პირველად გასული წლის ნოემბერში ლონდონის ბირჟაზე 3 მარტს ამ ვალუტის კურსი თითქმის დასაშვებ მინიმუმამდე დაეცა. ინგლისის გაზეთების კომენტატორები თავს იმით იუგეშებენ, რომ როგორც „ივნინგ სტანდარდი“ წერდა „არც დოლარს აღგია კარგი დღე“.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მატულობს დოლარისადმი უნდობლობა და ამასთან ერთად მისწრაფება გაცვალონ ამერიკული ვალუტა ოქროზე. „უოლსტრიტ ჯორნელი“ შეშფოთებით წერს „თუ რა ტემპით იხარჯება დოლარები ამერიკის საზღვრების გარეთ, და რა სწრაფად იშრიტება ამერიკის ოქროს მარაგი, რაც საჭიროა ამ დოლარების გამოსყიდვისათვის“. 1957 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების ოქროს მარაგი 22,7 მილიარდი დოლარიდან დღეისათვის 12 მილიარდ დოლარამდე შემცირდა. ხმები დადის, რომ შეიძლება შემოიღონ ემბარგო ამერიკის შეერთებული შტატებიდან ოქროს გატანაზე. ამან თავისი მხრივ ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპაში „ოქროს ციებ-ცხელების“ გაძლიერებას. როგორც დასავლეთ კომფერტატორები ადასტურებენ, შეერთებულ შტატებს სულ უფრო უჭირს ხელოვნურად შეინარჩუნონ მსოფლიო ბაზარზე ოქროს ახლანდელი დაბალი ფასი, რომელიც ჯერ კიდევ 1934 წელს შემოიღეს. წინასწარმეტყველებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდება გადასინჯოს და გაადიდოს ეს ფასი. ამ მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებზე გავლენას ახდენენ საფრანგეთი და ზოგიერთი სხვა ქვეყნა. (საკდესი).

ოგბზაურობა კონტინენტებზე

ერაყველსართულიანი ექონაქრ

— **მარჯვნივ** თეთრ სვეტს ხომ ხედავთ? ეს მონაკოს საზღვარია... გიდს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ უკვე მონტე-კარლოს ვიწრო ქუჩებში მივქროდით. მთელი სახელმწიფო მოსკოვის სოკოლნიკის პარკზე ოთხჯერ ნაკლებია. ასე დაიწყო ჩვენი გაცნობა მრავალსართულიან მონაკოსთან. აქ ბევრი არაფერია სანახავი. ამიტომ გიდთან ერთად მაშინვე სამორინოში მოვხვდით. შავ სმოკინგიანი და შავ ხელთათმანებიანი კრუპიე თავს დასტრიალებს სათამაშო მაგიდას, სადაც ცმილიონობით ფრანკი ერთი ჯიბიდან მეორეში გადადის. შემდეგ კი მოთამაშენი სიცოცხლეს ან ოლეანდერის ბაღში თვითმკვლელობით ამთავრებენ ან უფასო ბილეთით შინ მშვიდობით მიემგზავრებიან.

ტურისტებს აქ ერთ საინტერესო ამბავს უყვებიან. რომელიღაც ქვეყნის კრეისერის კაპიტანმა დიდძალი სახაზინო ფული წაიგო. გაშმაგებულმა მეზღვაურმა კაზინოს „ქვემეხები“ დაუმიზნა და კომპენსაცია მოითხოვა. „საზღვაო ცურვის საზოგადოება“. — კეთილშობილების პატრონი იძულებული გახდა დაეთმო. მას შემდეგ სამხედრო პირთ კაზინოში აღარ უშვებენ.

კაზინოდან მონაკოს მფლობელ მთავარ რენე III-ის სასახლისაკენ გავეშურეთ. მონუმენტური ნაგებობა სიძველით სუნთქავს.



სურათებზე: (ზემოთ) ეს გენერალი არ გეგონოთ. მხოლოდ მთავრის სასახლის მცველია; (ქვემოთ) მონაკოს ხედი. ფოტო ე. კასინისა და ვ. გენდე-როტესი. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ზრომა და კაპიტალი

● ისლანდია

რეიკიავიკი. ისლანდიის დედაქალაქის ცხოვრება საფუძვლით პარალიზებულია საყოველთაო გაფიცვის შედეგად, რომელიც ისლანდიის პროფკავშირთა ფედერაციამ გამოაცხადა. მუშაობა შეწყდა ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში, არ გამოდის გაზეთები, დახურულია საერთაშორისო აეროპორტი. გაფიცულნი მოითხოვენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. გაფიცვაში მონაწილეობს 20.000-მდე კაცი. (საკდესი).

● იტალია

ამას წინათ საყოველთაო გაფიცვა გაიმართა იტალიის ქალაქ ტორე-ანუნციატაში (ნეაპოლის პროვინცია). აქ გაჩერდა ყველა სამრეწველო საწარმო, დაიხურა მაღაზიები, კინოთეატრები, ბანკები, მუშაობა შეწყვიტა ქალაქის ტრანსპორტმა.

● ფინეთი

ჰელსინკი. ფინეთის მთელი რიგი ქალაქების სამკურნალო დაწესებულებათა გაფიცულ სამედიცინო პერსონალს შეუერთდნენ 20 ქალაქისა და დასახლებული პუნქტის საავადმყოფოთა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა მუშაკები, წერს გაზეთი „კანსან უუტისეტი“. ახლა გაფიცვაში მონაწილეობს ფინეთის 33 ქალაქის საავადმყოფოთა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა 10 ათასამდე მედიცინის მუშაკი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ხიფნები

„კომუნისტს“ უპასუხებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

გალში სამშობიარო სახლის ცუდ მდგომარეობას ეხებოდა წერილი, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილის გამო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლ. ძაგთარაძემ რედაქციას შეატყობინა:

ჩვენ მიერ ადგილზე საკითხის შესწავლისას გაზეთ „კომუნისტის“ სტატიაში „ხიზნებში“ მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ როგორც აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრთან პირად საუბარში გაირკვა, გალის რაიონის სამშობიარო სახლი უახლოეს ხანში დროებით გადაყვანილ იქნება სხვა შენობაში, ხოლო მიმდინარე ხუთწლედში აშენდება ახალი სამშობიარო სახლი.

აგრესიული ომი ვიეტნამში იფუშება

პანოი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის არმიამ და ხალხმა უმაგალითო გამარჯვებანი მოიპოვეს სასოფლო რაიონების უზარმაზარ ტერიტორიაზე. ამის მეოხებით სამხრეთ ვიეტნამის არმიასა და ხალხს აქვთ მტკიცე ზურგი. ეს სამხრეთ ვიეტნამის რევოლუციის საბოლოო გამარჯვების საიმედო გარანტიაა — წერს გაზეთი „კაუნ დოი ნიან ზანი“.

სამხრეთ ვიეტნამის სასოფლო რაიონების „დაშოშმინების“ პროგრამა, რომელიც ამერიკელ იმპერიალისტებს სტრატეგიულ ამოცანად მიაჩნიათ თავიანთ აგრესიულ ნეოკოლონიალისტურ ომში, „სპანის ბუშტივით გასკდა“, ხაზს უსვამს გაზეთი.

ამერიკა-საიგონის რეჟიმს ამჟამად არა აქვს სამხედრო დასაყრდენი სოფლის „დაშოშმინების“ ოპერაციების განსახორციელებლად. მთელი მისი სამხედრო ძალები თავმოყრილია ქალაქების დასაცავად.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მარიონეტული ხელისუფლების აპარატი სოფლად სრულიად დაშალა. რანაირად უნდა განახორციელონ სოფლის „დაშოშმინების“ პროგრამა, როცა ამჟამად შეერთებულ შტატებსა და მის მარიონეტებს ქალაქები და რაიონული ცენტრებიც კი ვერ „დაშოშმინებიათ“.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები ინარჩუნებენ ინიციატივასა და შეტევითს სულისკვეთებას, იუწყება განთავისუფლების რადიოსადგური. „ამერიკის“ მარწუხის „გეგმა — შეიარაღებული პატრიოტული ძალების მოსპობის საომარი ოპერაციები და „დაშოშმინების“ ოპერაციები მთლიანად ჩაიფუშა.

გააკრიტიკეს პრემიერ-მინისტრი

ლონდონი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი მკაცრად გააკრიტიკეს მისი მთავრობის პოლიტიკის გამო ეკონომიკის დარგში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ხელფასის გაყინვა. მას აკრიტიკებდნენ ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრები ფრაქციის სხდომაზე, რომელიც სპეციალურად მოიწვიეს 6 მარტს.

როგორც პრეს ასოშიეიშნის საგანგებო იუწყება, ვილსონმა მოიწვია სხდომა, რათა დაემშვიდებინა უკმაყოფილო მემარცხენე ლეიბორისტები — პარლამენტის წევრები, რომლებიც მთავრობას ბრალად სდებენ, რომ არ ასრულებს წინასაარჩევნო დაპირებებს.

პარლამენტის წევრებმა ე. ჰეფერმა და ე. მუნმენმა გააფრთხილეს ვილსონი ხელფასის შემცირების შემდგომი ცდების წინააღმდეგ.

როცა ვილსონმა მოითხოვა, რომ პარლამენტის წევრები პრესაში გამოსვლისას მხარს უჭერდნენ მხოლოდ მთავრობის პოლიტიკას, დარბაზში გაისმა აღშფოთების შესახილები.

ტელეტაიპის ლენტიდან

● გდრ

ლაიფციგის ბაზრობის მეღლები

ლაიფციგი, 9 მარტი. (საკდესი). ლაიფციგის ახლანდელ საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობაზე 21 ოქროს მედალი მიენიჭა საბჭოთა ექსპონატებს.

უმაღლესი ჯილდოებით აღნიშნულია მთელი რიგი ლიტონდასამუშაგებელი ჩარხები, რომლებსაც უშვებენ საბჭოთა კავშირის საგარეო საგაჭრო გაერთიანება „ჩარხიმპორტი“, აგრეთვე გაერთიანება „მაშპრიბორინტორგის“ მთელი რიგი ზუსტი ხელსაწყოები.

ბაზრობის ეიურიმ ოქროს მედლებით აღნიშნა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელმჩირის განყოფილების ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის ელექტრონული დამჩქარებელი „ელიტ-1-ა“ და იმპულსების ანალიზატორი, რომელსაც იყენებენ ბირთვულ ფიზიკაში კვლევისათვის.

● საბერძნეთი

მიკროპოლიციას ღირსება აკლია

ათენი. (საკდესი). საბერძნეთის ეკლესიის მეტროპოლიტი იაკობი სამხედრო რეჟიმმა გადაიყვანა თანამდებობიდან. წმიდა სინოდის განსაკუთრებულმა საეკლესიო სასამართლომ 8 საათის სხდომის შემდეგ გამოაცხადა, რომ იაკობს აკრძალი აქვს მეტროპოლიტის ღირსება, რადგან მორწმუნეთ „აღარა აქვთ მისი ნდობა“.

ვინ შეკაზმავს სახედარს?

1968 წელი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის არჩევნების წელია. ვინ არიან დემოკრატიული პარტიიდან პრეტენდენტები? როგორია მათი პოზიციები ამომრჩევლებში? ამ კითხვებს უპასუხებს „ახალი ამბების“ საპარლამენტო პოლიტიკური მიმოხილველი ნ. სტრელცოვა.

ლონდონი ბეინს ჯონსონის პრეზიდენტობის პირველი ვადა დასასრულს უახლოვდება. 1968 წლის 5 ნოემბერს ამერიკელი ამომრჩევლები დაასახელებენ ახალი პრეზიდენტის სახელს მორიგი ოთხი წლისათვის. არჩევნებამდე დარჩენილი თვეები საკმაოდ მძიმე იქნება და ბევრს კარგს არაფერს უქადის თეორი სახლის ახლანდელ „პატრონს“. როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, ჯონსონის ახლანდელ პოლიტიკას გამოკითხულთა 40-42 პროცენტი უჭერს მხარს. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც პრეზიდენტის წინააღმდეგ არის მიმართული, არის ომი ვიეტნამში, რასობრივი უთანასწორობა, დამნაშავეობის განუწყვეტელი ზრდა, მაღალი გადასახადები, ცხოვრების მზარდი სიძვირე.

ხელისუფლების სათავეში ჯონსონის ყოფნის პერიოდში სამოქალაქო ომი ვიეტნამში, სადაც ვაშინგტონი მხარს უჭერს და აქეზებს საიგონელ მარionეტებს, ამერიკის გახანგრძლივებულ აგრესიაში გადაიზარდა.

1963 წელს ვიეტნამში ამერიკელ ჯარისკაცთა რიცხვი ოდნავ აღემატებოდა 16 ათასს. ახლა იქ ბინძურ ომს ეწევა ნახევარ მილიონზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსალოდნელია ამ კონტინგენტის კიდევ უფრო გაზრდა. აგრესიას შეერთებული შტატებისათვის გამარჯვება არ მოაქვს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ უფრო მეტ საბრძოლო საშუალებებსა და ადამიანთა სიცოცხლეს შთანთქამს.

ჯონსონმა დაკარგა „ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ახალგაზრდა ამომრჩევლთა უმრავლესობა, — წერს უოლტერ ლიპმანი „ნიუ-იორკ პოსტში“, — და ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეძლებს ახლა მათს გადაბირებას, მას ბევრი არაფრის თქმა ან გაკეთება არ შეუძლია, რათა დაავიწყოს ამომრჩევლებს, თუ 1964 წლის არჩევნების დამთავრებისთანავე როგორ დაარღვია ვალდებულებები და არ შეასრულა დანაპირები...“

ჯონსონის პოლიტიკური კურსით უკმაყოფილებამ საზოგადოებრიობის ფართო წრეები მოიცვა. ამ კურსს აკრიტიკებენ ცნობილი სენატორები ფულბრაიტი, მორტონი, ჰეტფილდი, კუპერი, მენსფილდი, გენერლები რიჯუეი, გეინი და სხვები, რომლებსაც ადრე მნიშვნელოვანი სამხედრო პოსტები ეჭირათ, გამოჩენილი მეცნიერები და ბიზნესმენები. „მთელ ქვეყანაში უკმაყოფილება, გამაღიზიანებელი განწყობილება სუფევს“, — წერს ეუონლი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“.

სერიოზული განხეთქილება მოხდა მმართველ დემოკრატიულ პარტიაში, და იგი დღითიდღე ღრმავდება.

ნიუ-იორკის შტატში ჯონსონის საწინააღმდეგო მოძრაობის მომხრეებმა 30 ათასზე მეტ კაცს მოაწერინეს ხელი მოთხოვნაზე, რათა დემოკრატიული პარტიის ყრილობამ უარი უთხრას ჯონსონს პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებაზე. ასევე მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო კალიფორნიაშიც, სადაც ლიბერალურად განწყობილმა დემოკრატებმა შექმნეს პარტია „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის“. ჯონსონის წინააღმდეგ გამოვიდა გავლენიანი ორგანიზაცია „ამერიკელები — დემოკრატიული მოქმედების მომხრენი“, აგრეთვე გასული წლის ზაფხულში შექმნილი ახალი პოლიტიკური ძალების კოალიცია.

„შეფიქრიანებული დემოკრატების“ ორგანიზაციამ, რომელიც დემოკრატიული პარტიის ათასობით წევრს აერთიანებს, ჩიკაგოში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუშალოს ჯონსონის ხელმეორედ არჩევას და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრის, სენატორ იუჯინ მაკარტის კანდიდატურას.

ამერიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მცირერიცხოვანი ლიბერალური ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, სოციოლოგიისა და ეკონომიკის პროფესორი მაკარტი მკაცრად აკრიტიკებს ვაშინგტონის პოლიტიკას ვიეტნამში. იგი მოითხოვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტას, 1964 წლის „ტონკინის რეზოლუციის“ გაუქმებას, რომელშაც დასაბამი მისცა ჯონსონის ომს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ვიეტნამის ომის საკითხი, ამბობს მაკარტი, „განსახილველად უნდა გადაეცეს ხალხს, რათა თვითონ ხალხმა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა ვალდებულებები უნდა იკისრონ შეერთებულმა შტატებმა და რა გზით შეასრულონ ეს ვალდებულებები“. იგი თვლის, რომ ამერიკის ომი ვიეტნამში — ეს არის „მორალური შეცდომა“, რომლის გამართლება არ შეიძლება არც იურიდიულად, არც დიპლომატიურად და არც სამხედრო მოსაზრებებით.

როდესაც მაკარტი სატელევიზიო პროგრამაში — „ერის პირისპირ“ — გამოვიდა, მან გააკრიტიკა მთავრობა, რომელსაც არა სურს დაიწყოს მოლაპარაკება ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის თაობაზე. მაკარტიმ აღნიშნა, რომ არაფრისმთქმელია ჯონსონის განცხადება, თითქოს იგი მზად არის „აწარმოოს მოლაპარაკება როდესაც გნებავთ და სადაც გნებავთ“.

რამდენად რეალურია მინესოტელი სენატორის შანსი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ნიუ-ჰემპშირის, ვისკონსინის, ნებრასკის, კალიფორნიის, ნიუ-იორკის, მასაჩუსეტსის და სხვა შტატებში პირველადი არჩევნების გამართვის შემდეგ. პირველი „ძალთა მოსინჯვა“ გაიმართება 12 მარტს ნიუ-ჰემპშირში. ფორმალურად ჯონსონი იქ კენჭს არ იყრის, თუმცა მისი მომხრეები პარტიული აპარატიდან, რომლებსაც მაკარტის დამარცხება სურთ, მოუწოდებენ, რათა ბიულეტენებში პრეზიდენტის გვარიც ჩაწერონ.

ვიეტნამის ომის საკითხი, ამბობს მაკარტი, „განსახილველად უნდა გადაეცეს ხალხს, რათა „მზვერავია“, და რომ ბოლოს და ბოლოს ბრძოლაში ჩაებმება განსვენებული პრეზიდენტის ძმა. მაგრამ კენედიმ გადაწყვეტით განაცხადა, რომ არ სურს მეტოქეობა გაუწიოს ჯონსონს. იგი აშკარად ამჯობინებს 1972 წელს, როდესაც მას გამარჯვების მეტი შანსი ექნება, და როდესაც ჯონსონს აღარ ექნება პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების უფლება.

1968 წლის აგვისტოში ჩიკაგოში გაიმართება დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობა, სადაც აირჩევენ პრეზიდენტობის კანდიდატს. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ როგორი იქნება ჯონსონის მდგომარეობა ამ ყრილობაზე, რამდენად ძლიერ ოპოზიციას შეხვდება იგი. თუმცა უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტის ხელისუფლების ძალა, პარტიის აპარატის კონტროლი მას მნიშვნელოვან შესაძლებლობას უქმნის. ცნობილ მომხმარებელს ჯეიმს რესტონს თუ დავუჯერებთ, „საპრეზიდენტო კამპანია შეიძლება საბოლოოდ ლინდონ ჯონსონისა და რიჩარდ ნიქსონის ორთაბრძოლამდე დავიდეს“. ნიქსონი ჯერ-ჯერობით რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობა სიის სათავეშია მოქცეული.

ცნობილმა ამერიკელმა მიმომხილველმა უოლტერ ლიპმანმა, რომელმაც ანალიზი გაუკეთა მეტოქეთა შანსებს, გამოთქვა ასეთი აზრი: „თუ ამჯერად დემოკრატები გაიმარჯვებენ, ეს მოხდება იმის წყალობით, რომ რესპუბლიკელები შეეცდებიან არ მისცენ საშუალება ჯონსონისადმი ოპოზიციურად განწყობილ დემოკრატებს ხმა მისცენ რესპუბლიკელთა კანდიდატს.

თუ რესპუბლიკელებმა ჯონსონით უკმაყოფილო დემოკრატთა ფართო მასებს არჩევანი არ შესთავაზეს, მაშინ ზოგიერთებმა, და შესაძლოა საგრძნობმა ნაწილმაც, ხმა მისცენ ჯონსონს, ამჯობინონ უკვე ნაცნობი ეშმაკი. მაგრამ ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, რომ პოლიტიკური არჩევანის უქონლობის გამო 1968 წელს შეიძლება მოხდეს პოლიტიკური ასპარეზიდან ადამიანების მასობრივი გასვლა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბევრმა ამერიკელმა შეიძლება უარი განაცხადოს უარჩევნო არჩევნებში მონაწილეობაზე.

ჯონსონი: ჩემი საქმე უკვე გავაკეთე, დაიბრ

ცისკარი

სტუმრად „კომუნისტის“ ფურცლებზე

ჭაშნიკიდან

ვერა, გატონო!

ამდენ ველ-მინდვრებს,
ამდენ ქედებს,
ამდენ ჭიუხებს,
ამდენ მშვენებას,
ამდენ სიტკბოს,
ამდენ სიუხვეს,
ამდენ ჭალაკებს,
ამდენ შარებს,
ამდენ ქარაფებს,
ამდენ ეზოებს,
ამდენ სოფლებს,
ამდენ ქალაქებს,
ამდენ ბაღ-ბოსტნებს,
ამდენ ყანებს,
ამდენ ვენახებს,
რაიც თვალებმა დაინახეს,
ანდა ვერ ნახეს,
ამდენ მიწა-წყალს,
საბუღბუღოს,
საიადონოს,
მტერს დავუთმობდით?
მტერს მივცემდით?
—ვერა, ბატონო!

გალაკტიონ არაბული.

მინიატურა

ხეზე ჩიტდებდა შოშიის ბუდეს
მზეზე დამწვარი პატარა ბავშვი
და მაყვლის წვენით გათხუპნულ უბეს
აფრიალებდა ფეხადგმულ ქარში.
სადაც უსტვენდნენ ღამეს ბიბები
და ღამე იყო შოშიის მსგავსი
და დიდი კაცის მზნე ნაბიჯებით
მიაბიჯებდა პატარა ბავშვი.

ვანო ჩხიკვაძე.

ბაზეთმა „კომუნისტმა“ საშუალება მოგვცა მაღალი ტრიბუნიდან ველაპარაკოთ მთელ საქართველოს ჟურნალ „ცისკრის“ გეგმებსა და ამოცანებზე.

„ცისკარი“ ახალგაზრდობის ჟურნალია. მან უკან მოიტოვა არსებობის ერთი ათეული წელი და ამ ხნის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის იდეური და მორალურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეს.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე აიდგა ფეხი დღეს უკვე საკმაოდ ცნობილმა მრავალმა მწერალმა, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის დიდ ტრადიციებს.

ჟურნალი „ცისკარი“ ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ ყოფილიყო ის სკოლა, სადაც გამოიწრთობოდა ახალგაზრდა ლიტერატორთა მსოფლმხედველობა და მხატვრული აზროვნება. ამიტომ ჟურნალი ყოველთვის ცდილობდა ჩვენი უფროსი თაობის მწერალთა დიდი გამოცდილება, უზადო ოსტატობა და მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი ახალგაზრდა მწერლების ძიებისა და სითამამისათვის შეეხამებინა.

სწორედ ასეთი სკოლა იყო ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისათვის მ. ჯავახიშვილის, შ. დადიანის, გ. ტაბიძის, ჯ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, გ. შატბერაშვილის და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც თავის დროზე „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

ჩვენი ფიქრები

ჩვენ არც მომავალში ვაპირებთ ამ ტრადიციის დარღვევას, თავიანთ ახალ ნაწარმოებებს გვპირდებიან ჩვენი სახელმოსვეტილი ოსტატები. მათ გვერდით დაიბეჭდება რ. ჭეიშვილის, ნ. წულეიასკირის, ჯ. ამირეჯიბის რომანები; ა. სულაკაურის, თ. ჭილაძის, რ. ინანიშვილის, ე. უფფინის, ო. იოსელიანის და სხვათა მოთხრობები. პოეზიის განყოფილებაში ვეცდებით გამოვაქვეყნოთ ყოველივე საუკეთესო, რასაც კი ჩვენი პოეტები ქმნიან.

„ცისკარი“ კვლავაც დიდი პასუხისმგებლობითა და მომთხოვნელობით მოეკიდება ლიტერატურულ სარბიელზე ახალი სახელების გამოჩენას. შემთხვევითი არ არის, რომ ახალ ნომერში მათი ლექსები იბეჭდება. ჩვენ გვინდა „ცისკრის“ „ჭაშნიკი“ „კომუნისტის“ მრავალთავიანმა მკითხველმაც გასინჯოს.

მკითხველისთვის ცნობილია, თუ რა დიდ და შეუნელებელ ყურადღებას იჩენს პარტიული პრესა ისეთი ეროვნული და საშვილიშვილო საქმისადმი, როგორც საქართველოს ბუნების მოვლა-პატრონობაა.

სწორედ ამ საპირბოროტო თემაზეა დაწერილი შურმან ლებანიძის ლირიკული პოემა, რომელიც „ცისკრის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდება. მშობლიური ბუნების სიყვარულით არიან შთაგონებულნი აგრეთვე რევაზ ინანიშვილის მოთხრობის გმირები.

ჟურნალი დიდ ადგილს დაუთმობს ლიტერატურის მიმდინარე პროცესების შესწავლასა და გაშუქებას, ყოველი, რამდენადმე მნიშვნელოვანი ახალი ნაწარმოების გარჩევასა და შეფასებას, ჩვენი კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენების აღნიშნვას, პოპულარულად დაწერილ სამეცნიერო სტატიებსა და გამოკვლევებს.

წელს ლენინური კომკავშირის სახელოვანი იუბილეა. ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალი საგანგებო ნომერს მიუძღვნის ამ ისტორიულ თარიღს. ჟურნალი ფართოდ გამოეხმაურება მომდინარე წლის ღირსშესანიშნავ თარიღებს, კერძოდ კარლ მარქსის იუბილეს, ასევე ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეებს.

ჩვენს ჟურნალს დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს დასახული. იგი უნდა იყოს ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომით, მაღალი აზრითა და გამაძლეებით აღბეჭდილი მდიდარი სულიერი ცხოვრების ამსახველი და მოჭირნახულე. „ცისკრის“ რედაქცია, მთელი მისი აქტივი ძალღონეს არ დაიშურებს ამ საპატიო ამოცანის გადასაჭრელად.

ჯანსუღ ჩარკვიანი.
ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი.

დათია და გოგია

მოთხრობა

ვინც კი ჩემთან ყოფილა, ყველა შეამჩნევდა ჩემ მიერ ყმაწვილობისას ფანქრით დახატულ მატარა ბანიან სახლს, რომელსაც დერეფნის ბოძებად თაგკაპიანი მრუდე მუხის ხეები აქვს შედგული, თავზედაც ასეთივე მრუდე ხე უდევს, უბრალო ფიცრებისაგან შეკრული კარი აქვს ჩამობმული, ერთი თახჩასავით ჩაშავებული ფანჯარა აქვს დატანებული, დაბალი ლოდები უსწორმასწოროდ ასულან კუთხეში... ამ ბანიანი სახლის ნაშთი შარშანწინდლამდე კიდევ იდგა ჩვენს მეზობლად, სოფელში, შარშანწინ დაანგრიეს. კოკები და ოდნავ მაინც გამოსადეგი ქვისა თუ ხის მასალა აქეთ, ახალ სახლს მოამზმარეს. ლამი, წნილები და გამხმარი გაჯი მახლობელ ხევში ჩაყარეს.

ახალი სახლი კოხტაც არის, დიდიც, ნათელიც, სუფთაც, შიგ ჩემი კეთილისმყოფელი და მოყვარული ადამიანებიც ცხოვრობენ, მაგრამ, როცა კი იქით მომხდება გავლა, ანდა გონებისთვალწინ გამოელვებს ეს ადგილი, ყოველთვის ძველი ბანიანი სახლი მაგონდება, იმას დაჰბრუნავს ჩემი ფიქრი, რადგან ამ სახლში მაქვს გატარებული ჩემი ბავშვობის მესამედი მაინც, ამ სახლში ცხოვრობდნენ დათია და გოგია, ჩემი უფროსი მეგობრები.

—

დათია და გოგია!

რომ შემეძლოს, ამ ობოლ ძმებზე მუსიკას დავწერდი. ძნელად, რომ სხვა რამემ უკეთესად გამოსატოს ჯერ კიდევ ოცდაუთი წლის წინათ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებად და ცისფერმა ფერად ქცევლი მათი ამქვეყნიური ცხოვრება. მაგრამ რაკი ამის საშუალება არა მაქვს, ისევ სიტყვიერებას მივმართავ; თანაც სიტყვიერების იმ ფორმას, რომელსაც მეგობრულ საუბარში ვიყენებთ ხოლმე ჩვენი გრძნობების გადმოსაცემად. იმედი მაქვს, ესეც მოგებულ იქნას იმ საზრდოდ, რაიც უნდა დამენთო მათ მოსასხესენებლად, მორწმუნე რომ ვყოფილიყავი.

დათია უფროსი იყო — ტანად ცოტა დაბალი, ბეგებგანიერი, მუდამ რაღაცის მაძებარი, მუდამ საქმეში გართული. გოგია ზემოდან დაკაკურებდა ხოლმე, თანაც გუზად, ღიმილით. ვენახი ჩვენს გვერდზე ჰქონდათ — აჯაგული, აჩალაგებული ფერდობით. ფერდობის შუაგულში ჭაობიც იყო. იმ ჭაობში განუწყვეტლივ რაღაცეები ფრაქუნობდნენ, ბუყბუყებდნენ, კენესოდნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ ძმები ვენახში იყვნენ. რანაირი ამინდიც უნდა მდგარიყო, ირგვლივ მაინც შემოუვლიდნენ. მიდიოდნენ გაზაფხულისა თუ შემოდგომის წვრილ, გაგრძელებულ წვიმაში აჩრდილებივით, გადაადგებოდნენ ფერდობს, რაღაცას ფიქრობდნენ, ანგარიშობდნენ, გეგმავდნენ. ძირს სველი ჭალა იყო, სველი კატაწნორები, ვერხვები, იმას იქით წვიმის ქვეშ ჩაყუჩებული იორი. ვენახში, ვაზებშუა, ნამყენი ატმები ჰქონდათ ჩარიგებული. ერთ ზამთარს კი, წივწივების ხმებით აღსავსე სუსხიან დილას, ფერდობსაც მისდგნენ. დათია მისდგა. გოგია პირველად როგორღაც უვუნებოდ ეხმარებოდა, მერე ისიც მუშაობის ეშხში შევიდა, აღიღინდა კიდეც. კმაყოფილი იყო.

ბუჩქნარი გაკაფეს, ჩალიანი გატუსეს, თავ-ბოლო შეკრული ფიჩხი მაღლა ამოზიდეს, ღობის ძირში ლამაზად მიაწყეს. მოიტანეს გრძელ-გრძელი ბარები, დაიდგა თითომ თითო წყლით სავსე ვედრო, ბარებს შიგ ასველებდნენ, ისე იღებდნენ სუფთა, კრიალა წოწოლა ბელტებს და ერთმანეთზე აწყობდნენ კოხტად, მიყოლებდა თვალს და ცაში შეაჩერებდა მზერას: — ეე, რას ამბობ, ნიავი რომ წამოუბერავს და დაიწყებენ შრიალს ეიქ, ცაში, ის ნაკლებია? ნიავი რომ წამოუბერავს სადამო ხანზე, გადმოსრიან კენწეროებს და დაიწყებენ შრიალს, ის ნაკლებია? — ტუტუცი ხარ, ტუტუცი! — იძახდა დათია, მაგრამ გოგია ამ სიტყვებსაც აუღელვებლად იტანდა: ყველანი რომ ჭკვიანნები ვიყოთ, მაშინ ხომ უფროს-უმცროსობა აღარ იქნებოდა! — ფუ, თარსო! — ბრაზობდა დათია. გოგია კი თავის საქმეს განაგრძობდა ღიღინით.

ალვის ხეებმა უკლებლივ იხარეს. ყველამ იცოდა, რომ გოგიას დარგულები იყო და „გოგიას შრიალებს“ ეძახდნენ. მაგრამ გოგიას მარტო ალვის ხეები კი არ ედგა თავისი, იქვე ფერდობის პირებშიც დატოვებული ჰქონდა იფნები, თელები და წნორები. ეს ხეებიც ისე შეეწყლდა და შეეყელყლავებინა, ერთი შეხედვით ვერც კი მიმთხვნელობით მოეკიდება ლიტერატურულ სარბიელზე ახალი სახელების გამოჩენას. შემთხვევითი არ არის, რომ ახალ ნომერში მათი ლექსები იბეჭდება. ჩვენ გვინდა „ცისკრის“ „ჭაშნიკი“ „კომუნისტის“ მრავალთავიანმა მკითხველმაც გასინჯოს.

მკითხველისთვის ცნობილია, თუ რა დიდ და შეუნელებელ ყურადღებას იჩენს პარტიული პრესა ისეთი ეროვნული და საშვილიშვილო საქმისადმი, როგორც საქართველოს ბუნების მოვლა-პატრონობაა.

სწორედ ამ საპირბოროტო თემაზეა დაწერილი შურმან ლებანიძის ლირიკული პოემა, რომელიც „ცისკრის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდება. მშობლიური ბუნების სიყვარულით არიან შთაგონებულნი აგრეთვე რევაზ ინანიშვილის მოთხრობის გმირები.

ჟურნალი დიდ ადგილს დაუთმობს ლიტერატურის მიმდინარე პროცესების შესწავლასა და გაშუქებას, ყოველი, რამდენადმე მნიშვნელოვანი ახალი ნაწარმოების გარჩევასა და შეფასებას, ჩვენი კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენების აღნიშნვას, პოპულარულად დაწერილ სამეცნიერო სტატიებსა და გამოკვლევებს.

წელს ლენინური კომკავშირის სახელოვანი იუბილეა. ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალი საგანგებო ნომერს მიუძღვნის ამ ისტორიულ თარიღს. ჟურნალი ფართოდ გამოეხმაურება მომდინარე წლის ღირსშესანიშნავ თარიღებს, კერძოდ კარლ მარქსის იუბილეს, ასევე ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეებს.

ჩვენს ჟურნალს დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს დასახული. იგი უნდა იყოს ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომით, მაღალი აზრითა და გამაძლეებით აღბეჭდილი მდიდარი სულიერი ცხოვრების ამსახველი და მოჭირნახულე. „ცისკრის“ რედაქცია, მთელი მისი აქტივი ძალღონეს არ დაიშურებს ამ საპატიო ამოცანის გადასაჭრელად.

ჯანსუღ ჩარკვიანი.
ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი.

„ცისკრის“ პრემიები

ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგია წლის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის აწესებს სამ პრემიას:

1. წლის საუკეთესო **მოთხრობა** (ორი პრემია, თვითეული ხუთასი მანეთის ოდენობით).

2. წლის საუკეთესო **პოეტური ნაწარმოები** (ერთი პრემია ხუთასი მანეთის ოდენობით).

გამარჯვებულ ნაწარმოებებს აღნიშნული პრემიები მიენიჭება ყოველი წლის ბოლოს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით.

ერთი კვირაა სტატიას ვუზივარ სახლში. ბავშვები გახიზნული მყავს, ცოლი ბალერიხასავით დადის მეორე ოთახში, საქმე წკიპზეა მისული. და უცებ:

— გაიგებდი, ალბათ... — ლევიტანის ხმით მორეკავს ხერაბი, საკუთარი ძმაკაცი.

— რას, კაცო!

— ქალაქი რომ გასამხედროებულია!

— არ გამაგიეო!

— შენ ჭურში ხომ არა ზიხარ, — ეწყინა ზურაბს.

— თუ ძმა ხარ, მითხარი, რა ხდება!

— ტელეფონში ვერ გეტყვი... გამოდი რუსთაველზე და გაიგებ...

ტუ-უ, ტუ-უ, ტუ-უ. — ტყინში რეკავს ყურმილი.

„ანია ჩემზე. თურმე რა გესტატიება, ქვეყანა ინგრევა. გაზეთები მაინც წამეკითხა. ნეტა ვინ აყალარუნებდა იარაღს?“.

მკედარივით გამოვდივარ კაბინეტიდან.

— როგორ არის საქმე? — თანაავტორივით კითხულობს ცოლი. ჰონორარის ნახევარი მიაქვს და თანაავტორია, მაშ რაღაა?

„აბა, უპანიკოდ!“ — ვაფრთხილებ თავს და ნაძალადევად ვუღიმი.

— საჯაროში მივდივარ დამატებითი ლიტერატურის გასაცნობად.

ხუთ წუთში ტროლეიბუსში ვარ, კაციშვილს ვერაფერს ვამჩნევ.

„ისე, ძლიერი ხალხი ვართ ქართველები, — ვამაყობ ჩემთვის, — „ეიოსა შიგან გამგრგრება“... ეს რუსთაველი ხომ მაინც ტუზიანი დაგვეცა!“

აბა, მისი პროსპექტიც! აგერ ხერაბი და ლევანიც. სერიოზული სახეებით აციდულებენ გამვლელებს.

— ეს არის, გასამხედროებულია ქალაქი, — შიშით გაღმა ვედაევები.

— გასამხედროებულია, აბა რა ჯანდაბაა, შეხედე ერთი! — ზურაბი ყარაჩოღელად შლის ხელს და გვერდზე მახედებს.

შეეგრნდი და... უცებ ჩემთვის დამთავრდა ომი. მე დავინახე ათობით გაპრიალებული, მაღალყელიანი ჩექმა, ხელთათმანივით რომ შემოსალტოდა გოგონების ფეხებს, მე აკაყოლე თვალი ჰელაპუბის რგოლით ნავარჯიშევ ტანებს, ბაკურიანის მზით ფერდაკრულ სახეებს და დავრწმუნდი, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

„ოჰ, მოწყალების დებს ჩვენი სალამი!“

ზურაბი ფეხს ფეხზე არტყამს და ხელი სამხედრო წესით შუბლთან მიაქვს. ქუდი ახურავს და შეიძლება!

— ერთი თქვენ ხელში მომკლა მოწინავე ხაზზე!

გოგონები კისკისებენ.

— მაინც რა უცებ გადასულან ახალ ფორმაზე! — მიკვირს მე.

— თბილისში ყველაზე სწრაფად ვრცელდება ჭორი, გრიპი და მოდა! — მიხსნის ზურაბი.

პაკაპეკით ჩაიარა უბრალო, უხეშჩექმებიანმა ქალიშვილმა.

— ეტყობა რიგით ჯარისკაცად რჩება, — ვთქვი მე.

— ის რა ჯარისკაცია, რომელიც გენერლობაზე არ ფიქრობს, — დაეჭვდა ლევანი.

— მე გენერლის შვილზე ფიქრს ვამჯობინებ, — თქვა ზურაბმა და წითელ ლაქისჩექმიან ქალიშვილს დასაო თვალი.

— მაია წყნეთელი ისე დაიღუპა, ხეირიანი წუღაც არ ღირსებია, — გაახსენდა ლევანს.

გამოჩნდა ძმაძე ორტილერია — ფენებად ლაბაბჩაკეცილი ქალბატონი. მაწვნისფერი ჩულქები დოსტოხზეს რეიტუზიით შემოტმასნოდა სპილოს ფეხებზე. ზინზილებიან ქრომის ჩექმებს ენერგიულად უბაკუნებდა ქვაფენილს.

— ეს უკვე „ატსტეკაშია“, — გვაცნობს ზურაბი, — ისენი კი წეევამდელები არიან.

წვრილქუსლიან, ტრადიციულ ფეხსაცმელებზე შემდგარი გოგონებისკენ მიგვითითებს.

— იმ სპილოსი არ ვიცი და ზოგს კი ნამდვილად უხდება ჩექმები, — დაასკვნის ლევანი.

— მერე, კარგი ქმარი გულს არ დაწყვეტდა ცოლს, — შეახსენა ზურაბმა. — აქვე იყიდება, „თათრის მეიდანზე“.

— გაგიეღი, სიმამრის „აზიაცკების“ ქარვამ ბომბსაო და ახლა ცოლს ვეძიძგილო?!

ჩაიარეს უკანასკნელმა ჩექმებმა. სამხედრო პარადი დამთავრდა. ჩვენ შეხვედრის აღსანიშნავად სახინკლეში ჩავუხვიეთ. ზურაბმა მომავალი ჰონორარის ანგარიშში კონიაკები მომატანინა. მერე ენად გაიკრიფა: ადღეგრძელა თბილისელი ქალიშვილები, ყველაფერს რომ იყრიან თავზე და ტახზე. განსაკუთრებით შეეხო მაღალყელიან ჩექმებს და თხელ, ჩამოსხმულ ტან-ფეხს.

— კიდევ კარგი, ახლა ქალის ფეხსაცმლით აღარ სვამენ ღვინოს.... — ვთქვი მე.

— რატო, — არ შეება ზურაბი. — არ სჯობია ქაჯური ყანწების მაგივრად კიდელზე 36 ნომერი კაი ქალის ჩექმები ეკიდოს?

ჩვენ რომ ამოვედით, თბილისი ნეონის მკრთალ შუქში იყო გახვეული.

„ყვავილების ქვეყანა ჩექმით შემოვიარე“ — დაბალი ხმით წამოიწყო ზურაბმა.

აი ტაქსის გაჩერებაც. ბიჭოს, ისევ ჩექმები, სარკესავით გაკრიალებული ჩექმები! ზურაბს თვალები გაუბრწყინდა. მიეხვდი, ჩექმა მისი აქილევსის ქუსლი იყო. ხელი მაგრად ჩავეჭიდე.

— დედას გეფიცები — არაფერს ვაკადრებ.

გაგვისხლტა და ჩექმებისკენ დაიძრა. მიუახლოვდა, „ბათინკები“ ჰუსარულად მიატეკპენი ერთმანეთს და ომახიანად შესძახა;

— ჩემი სამხედრო სალამი, გოგონ!

ჩექმები ერთხანს გაუნძრევლად იდგნენ. მერე ნელნელა შემობრუნდნენ. და ჩვენ გავიგონეთ:

— ვინ არის შენი გოგონი, ჭირიმე?!

ზურაბმა ქუდთან მიწებებული ხელი ძლივს ჩამოიღო.

— ბოდიში, ამხანაგო ლეიტენანტო.

აღელვებულ ლეიტენანტს ულვაშებთან ერთად რევოლვერიც ამშვენებდა.

— საბურთალო! — სულზე ჩამოიქროლა ტაქსმა.

ჩვენ მანქანაში შევცოცდით.

„ჩექმებიანი ‹კატა›, იუწყებოდა აფიშა ახალ პროგრამას.....

არლი თაყაიშვილი.



ბოდიში, ამხანაგო ლეიტენანტო!

იუმორესკა

ჭორი, გრიპი და მოდა! — მიხსნის ზურაბი.

პაკაპეკით ჩაიარა უბრალო, უხეშჩექმებიანმა ქალიშვილმა.

— ეტყობა რიგით ჯარისკაცად რჩება, — ვთქვი მე.

— ის რა ჯარისკაცია, რომელიც გენერლობაზე არ ფიქრობს, — დაეჭვდა ლევანი.

— მე გენერლის შვილზე ფიქრს ვამჯობინებ, — თქვა ზურაბმა და წითელ ლაქისჩექმიან ქალიშვილს დასაო თვალი.

— მაია წყნეთელი ისე დაიღუპა, ხეირიანი წუღაც არ ღირსებია, — გაახსენდა ლევანს.

გამოჩნდა ძმაძე ორტილერია — ფენებად ლაბაბჩაკეკილი ქალბატონი. მაწვნისფერი ჩულქები დოსტოხზეს რეიტუზიით შემოტმასნოდა სპილოს ფეხებზე. ზინზილებიან ქრომის ჩექმებს ენერგიულად უბაკუნებდა ქვაფენილს.

— ეს უკვე „ატსტეკაშია“, — გვაცნობს ზურაბი, — ისენი კი წეევამდელები არიან.

წვრილქუსლიან, ტრადიციულ ფეხსაცმელებზე შემდგარი გოგონებისკენ მიგვითითებს.

— იმ სპილოსი არ ვიცი და ზოგს კი ნამდვილად უხდება ჩექმები, — დაასკვნის ლევანი.

— მერე, კარგი ქმარი გულს არ დაწყვეტდა ცოლს, — შეახსენა ზურაბმა. — აქვე იყიდება, „თათრის მეიდანზე“.

— გაგიეღი, სიმამრის „აზიაცკების“ ქარვამ ბომბსაო და ახლა ცოლს ვეძიძგილო?!

ჩიტი

თვითონ დავხურავ
პატარა ქვითკირს
და ღრანტეებში
დავიდებ ბინას,
როგორც ბუდისთვის
ჩიორა ჩიტი —

მიწას და ბუმბულს
მოვზიდავ ფრთხილად,
ჩემს სათქმელს მაინც
ვერავინ იტყვის,
ყველას თავისი
სათქმელი სტკივა.

ყვავილ...

ხვალ, ვიცი, ფაფუკ
ფიფქით დაათოვს
მიწას და ოდებს,
ცადაწვდილ თხემლებს, —
შენ არ ამიხსნი
რისთვის და რატომ,
უბრალოდ მოხვალ
და დამიჩემებ,
თვალში იების
ღიმილს აინთებ,
მაღალ სარკმელთან
დადგები ფრთხილად
და მოუმატებ
ღაბუა ჩიტებს
ჩემი ოთახის
შეორთქლილ მინას!

ლალი ჯაფარაშვილი.

მხატვრობა
დ. ერისთავისა



ახალი ლექსები

იოსებ ნონეშვილი

მაბრალე რამ ბიბლიელ.. მე რა ბრალი ვქენ

სოფელ უდეს მკვიდრს პეტრე მერაბიშვილს გასულ საუკუნეში საფრანგეთში სამედიცინო განათლება მიუღია. მუშაობა დაუწყია ეთიოპიის (აბისინიის) დედაქალაქ ადის-აბებაში. მეცნიერებათა დოქტორს, დოქტორ მერაბად ცნობილ ჩვენს თანამემამულეს, მკურნალსა და მეცნიერს, რომელმაც მრავალი წელი ეთიოპიაში გაატარა, დაუწერია მრავალტომიანი გამოკვლევა ეთიოპიის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ხალხური მედიცინის საკითხებზე და გამოუცია პარიზში ფრანგულ ენაზე. ადის-აბებაში, რომელიც მის დროს მისი მონაწილეობითაც შენდებოდა, დაუარსებია პირველი აფთიაქი და პოლიკლინიკა, რომლისთვისაც „საქართველო“ — „georgie“ უწოდებია. სწორედ ეს აფთიაქი ვნახე რამდენიმე თვის წინათ ადის-აბებაში.

დოქტორო მერაბ, დოქტორო მერაბ,
ბატონო პეტრე მერაბიშვილო,
მოვედი, გნახე, გატყობ, რომ ღელავ,
მაგრამ რა გიყო, მე რა გიშველო...
დოქტორო მერაბ...
ბატონო პეტრე მერაბიშვილო.

საუკუნეზე მეტი გასულა,
რაც მიატოვე სოფელი უდე,
მთები გადმოსტერ, ზღვა გადმოსცურე,
აბისინიის ცას შეებუდე.

შენ საფრანგეთში მკურნალი გახდი
და, ყვავ-ყორნებით გულდაკაწრული,
გელოდებოდა მშობელი ხალხი,
შენი უდე და შენი აწყური.

მაგრამ დასტოვე შენი სოფელი,
თითქოს იქ ყველა გყავდა ჯანმრთელი,
ბინად დაიდე ეთიოპიის
უდაბნოს ქვიშა, მთების კალთები.

აქ ლაზარეთი გახსენ პირველად
და აფთიაქიც გახსენ პირველი.
იდექი მაშვრალთ, სნეულთ იმედად,
შემბრალებელი და შემწირველი.

თუმც „საქართველო-ჟორჟი“ უწოდე
პირველ აფთიაქს, პირველ კლინიკას,
აქ საქართველო არვინ უწყოდა,
არვინ უწყოდა, თვით შენ ვინ იყავ.

არ გიშორებდა მკურნალს, მეცნიერს
აბისინიის იმპერატორი.
ამ უცხო მხარეს თავი შესწირე,
ამ ხალხის ნათელ სვე-ბედს ნატრობდი.

ღამით ნეონის ცა რომ დანათის,
დღისით რომ ბრწყინავს ვარდის ბაღებად,
შენი ხელითაც გახდა ქალაქი,
ეს მზემარადი ადის-აბება.

მაგრამ ვის ახსოვს შენი ამაგი,
შენი დვაწლი და შენი სახელი,
აღარსად შეგრჩა ტოლ-ამხანაგი,
დამტირებელი და დამმარხველი.

— საქართველოზე, — ვკითხე ფარმაცევტს —
დოქტორ მერაბზე არა იცით რა —
— რა გსურთ, მუსიო?..
გთხოვთ ნუ გამაცდენთ!..
გაუგებარი კითხვა იწყინა.

— შენც არაფერი გაგიგონია,
დოქტორ მერაბზე არა იცი რა?..
— არა ვიცი რა, — შავმა გოგონამ
თეთრი კბილებით შემომციცინა.

შენი ამბავი ვერვინ მიამბო,
მოდი, შენ მაინც რამე მითხარი.
აქ „საქართველო“ ისე კიაფობს,
როგორც ქარაგმა წაუკითხავი.

ვაგლახ... შენც როგორც ზოგიერთ ქართველს
ალბათ ჩვენი ცა მცირე გეგონა,
სულ სხვაგან ჰფენდი ბონების ნათელს,
სხვა ხალხს გაუხდი მხსნელად, მეგობრად,

როდესაც შენი მშობელი მიწა
ითხოვდა შველას, ნაგვემი მკაცრად.
ისევ იმ მიწამ არ დაგივიწყა,
ისევ ჩვენ ვეძებთ შენს წაშლილ კვალსაც.

...ღამდება, მიწას ცა ებჯინება,
თქორში ლანდები დააბოტებენ
და დავიწყების მაჯლაჯუნებად
ზვირთებში თვლემენ ბეჰემოტები.

მეც გეთხოვები... გატყობ, რომ ღელავ,
მაგრამ რა გიყო, მე რა გიშველო...
დოქტორო მერაბ, დოქტორო მერაბ,
ბატონო პეტრე მერაბიშვილო.

ადის-აბება-თბილისი.

ნორჩი კომპოზიტორის საჩუქარი

ეს ნორჩი კომპოზიტორი მხოლოდ ექვსი წლისაა. მას ნანა გაბაშვილი ჰქვია. იგი 100 მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. სწავლობს თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის პირველ კლასში.

ნანა თავის ახალ ნაწარმოებს ასრულებს, რომელიც მან თავის დედას და მასწავლებელს რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს ს. გაბუნიას უძღვნა.

ფოტო ბ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ლიტერატურა და ხელოვნება

ნაირ-ნაირი

კომუნისტი

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲒ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ წლის წინათ ლონდონში შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა თეატრების საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის 23 ეროვნულ თეატრალურ ცენტრს. როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანას ეკუთვნის პრიორიტეტი მსოფლიოში პირველი საბავშვო თეატრის ჩამოყალიბების საქმეში.

მოზარდთა თეატრების საერთაშორისო ასოციაციის ანსამბლები და პლენარული სხდომები იმართება ინგლისში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ. სადაც განიხილავენ ახალგაზრდობის თეატრების საკითხებს.

წარსულში ფესტივალზე საბჭოთა კავშირიდან წარმოდგენილი იყო ცენტრალური საბავშვო თეატრი.

ამჯერად მორიგი ფორუმი ეწყობა მოსკოვსა და ლენინგრადში. პარალელურად იმართება ფესტივალიც, რომლის მაყური და მომთხოვნი ყურის წინაშე წარსდგებიან კოლექტივები საბჭოთა კავშირიდან — ცენტრალური საბავშვო, მოსკოვის, ლენინგრადის მოზარდ მაყურებელთა, სხვადასხვა მუსიკალური თეატრები, საქართველოს, ესტონეთის და ლატვიის მოზარდ მაყურებელთა თეატრები.

თბილისელებმა ბავშვთა თეატრების დიდ ფორუმზე საჩვენებლად შეარჩიეს ქ. ქუტუკაშვილის პიესა — ზღაპარი „კონკია“. სპექტაკლის რეჟისორია თ. მალალაშვილი, კომპოზიტორი — ნ. გაბუნია, მხატვარი მ. მალაზონია, ქორეოგრაფი — ი. ზარეკი, მონაწილეობენ მსახიობები ვ. ნინუა, მ. აბაშიძე, ო. ბალათურია, ჯ. ჯანდიერი და სხვები. მოსკოვის ცენტრალური საბავშვო თეატრის სცენაზე „კონკია“ ორჯერ იქნა წარმოდგენილი.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ სახელმწიფო თეატრის სცენაზე მაყურებელმა ნახა მორიგი პრემიერა. წარმოდგენილი იქნა **ოტია იოსელიანის**, ახალი ორმოქმედებიანი პიესა **„მოჯადოებული მწვერვალი“**.

სპექტაკლის დამდგმელია რეჟისორი გ. ანთაძე, მხატვრობა იუოთვნის კ. იგნატოვს, მუსიკალური გაფორმება — ი. ბობოხიძეს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. უჩანეიშვილი (როსტომი), კ. თოლორაია (ბექნუ), მსახიობები ზ. ლებანიძე (დალი), მ. გორგილაძე (ავთო), გ. ბერიკაშვილი (ბონდო), შ. სხირტლაძე (გუა), მ. მაჩაბელი (მარეხი).

ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡᲓᲐᲜ

ᲥᲐᲚᲗᲐ საერთაშორისო დღისათვის „კომუნისტის“ რედაქციაში ატლანტის ოკეანიდან დეპეშა მოვიდა. იგი გამოგზავნილი იყო ტრაულერ „კახეთის“ ეკიპაჟისაგან. აი ისიც:

„მშობლიური საქართველოს ძვირფასო მშრომელო ქალებო, ტრაულერ „კახეთის“ ეკიპაჟი შორეული ატლანტიკიდან მხურვალედ მოგილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს და გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერ სიცოცხლეს, შრომითს წარმატებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საუკეთესო სურვილებით — ეკიპაჟის სახელით ტრაულერ „კახეთის“ კაპიტან-დირექტორი **ᲐᲑᲠᲐᲰᲘᲜ, კაპიტნის პირველი თანაშემწე ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ“.**

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲜᲐᲮᲔᲡ

ᲘᲒᲘ 1800 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲚᲝᲕᲠᲝᲜᲓᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ბულგარეთის ქალაქ რაზგრადის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა თრაკიული სამარხი დაწვის წესით დასაფლავებული ადამიანის ნეშტით და იმ ნივთებით, რომლებსაც ის სიცოცხლეში ხმაროობდა. დადგენილია, რომ აქ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნემი პატივითა და თრაკიული ადათისამებრ დამარხეს ათლეტი, რომელიც ახლანდელი რაზგრადის ადგილას მდებარე ქალაქში ცხოვრობდა. ამასთან ცხოვრობდა მანამდე, სანამ აქ ცნობილი რომაული ქალაქი ბრიტუსი გაშენდებოდა. თუ რა ეწოდებოდა ამ უძველეს ქალაქს, დღემდე ცნობილი არ არის.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲕᲘᲚᲝ

ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ ცხოველების გადაშენებული წარმომადგენელი — სამხრეთის სპილო. ცხოვრობდა დაახლოებით სამი მილიონი წლის წინათ. ასეთი სპილოს ნამარხი აღმოჩენილია წეთელწყაროს მახლობლად, ტარიბანის ველზე ნავთის სარეწაოების მუშაკთა მიერ. ნამარხი გათხრეს 1959 წელს პალეობიოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგების პროფესორ ლ. გაბუნიას ხელმძღვანელობით.

სამხრეთის სპილოს მონტირებული ჩონჩხი გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტერიტორიაზე.

საინტერესოა, რომ სამხრეთის სპილოს მონტირებული ჩონჩხი მსოფლიოში მხოლოდ სამია — პარიზში, ლენინგრადსა და თბილისში.

ᲛᲐᲚᲔ ᲨᲝᲨᲘᲔᲑᲘ ᲛᲠᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ...

ფოტო შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ᲖᲦᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ!

ᲑᲔᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲕᲘᲓᲐ „ᲩᲔᲚᲘᲝᲣᲡᲙᲘᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲛᲘᲜᲓᲘᲢᲘ“. ᲐᲛ ᲠᲐᲓᲘᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲛᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲔᲡ. ᲐᲘ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲕᲘᲒᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲩᲔᲚᲘᲝᲣᲡᲙᲘᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲣᲜᲔᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲔᲡ. 1933 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲓᲐᲜ ᲓᲘᲓ ᲐᲠᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲔᲥᲡ�პᲔᲓᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ „ᲩᲔᲚᲘᲝᲣᲡᲙᲘᲜᲘ“. ᲛᲐᲡ ᲔᲠᲗ ᲜᲐᲕᲘ�გᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲡ ᲒᲔᲛᲘ „ᲩᲔᲚᲘᲝᲣᲡᲙᲘᲜᲘ“ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲒᲝ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲕᲘᲓᲐ „ᲩᲔᲚᲘᲝᲣᲡᲙᲘᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲨᲘᲜᲓᲘᲢᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ“. ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲜᲓᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲔᲠᲗ ᲗᲕᲔᲖᲔ ᲮᲣᲗᲘᲗᲕᲔᲜᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲔᲡ. ᲐᲘ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲕᲘᲒᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲩᲔᲚᲘᲝᲣᲡᲙᲘᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲗᲝᲗᲔᲑᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ ᲙᲐᲠᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲗᲝᲗᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲡᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡ ᲓᲐᲣᲡᲕᲐᲛᲗᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲗᲝᲗᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲡᲐᲗᲝᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲕᲘᲒᲐᲛᲘᲡᲗᲕ